

დალი კანდელაკი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი
რუსეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი
<https://orcid.org/0000-0001-7764-5059>
dali.kandelaki@tsu.ge

ეკატერინა ლაჩინოვას აკრძალული წიგნი: XIX საუკუნის კავკასიური ომის ისტორიები

რომანი-პამფლეტი „ხრიკები კავკასიაში“ («Проделки на Кавказе») რუსეთში 1844 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა. წიგნის ავტორი იყო ეკატერინა ლაჩინოვა, კავკასიის ცალკეული კორპუსის გენერლის ნიკოლაი ლაჩინოვის მეუღლე. ავტორმა ფსევდონიმად ე. ხამარ-დაბანოვი აირჩია (ციმბირში მთების ხამარ-დაბანის სახელწოდების მიხედვით). ნაწარმოები საზოგადოებას XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე კავკასიური ომის კულესებში არსებულ ისტორიებს აცნობდა. გამოცემისთანავე წიგნის თითქმის მთლიანი ტირაჟი გაანადგურეს. იმპერატორმა ნიკოლაი I-მა წიგნის შესახებ თქვა: „ჩვენ არაფერი ვიცით კავკასიაზე, ეს ქალბატონი კი ჩვენ თვალს გვიხელს“. განრისხებული, თუმცა ობიექტური იყო რომანის შეფასებისას სამხედრო მინისტრი ა. ჩერნიშევიც: „ეს წიგნი მით უფრო მავნეა, რადგან მასში ყველა სტრიქონი მართალია!“ რამ გამოიწვია ხელისუფლების ასეთი აღშფოთება? ფაქტობრივად, გამოვლინდა საიმპერატორო ადმინისტრაციის არაკომპეტენტურობა, თანამდებობის პირთა თვითნებობა და კორუფცია, გენერლების და ოფიცრების მედიდურობა. ავტორმა სიმართლე თქვა კავკასიის ომზე, რომელის დეტალები საგულდაგულოდ იყო დამალული რუსი მაღალჩინოსნების მიერ. წიგნში ყოველგვარი შელამაზების გარეშე წარმოდგენილი იყო მათი ჭეშმარიტი სახე. რუსულ საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციების მიუხედავად რჩებოდა პასუხგაუცემელი კითხვები: რისთვის იბრძოდა რუსეთის ჯარი, რა ამოძრავებდათ კავკასიელთა წინააღმდეგ ომში? რატომ გრძელდებოდა ომი უსასრულოდ, თუ რუსები ყოველ ჯერზე წარმატებულები იყვნენ და ზოგიერთ კავკასიელ ხალხს იმორჩილებდნენ კიდევ? როგორ ივსება მთიელ მებრძოლთა შემაღდგენლობა, თუ ისინი ასობით იღუპებიან ყოველ შეტაკებაში? წიგნი ნათელს ჰფენდა ამ საიდუმლოებებს, იმას რომ კავკასიაში არ არსებობდა ხელისუფლების მოქმედების ერთიანობა. თითოეულ უფროსს თავისი პოლიტიკა ჰქონდა და საკუთარ ომს აწარმოებდა. რომანში ასახული სიმართლე არასასურველი იყო სამხედრო ხელმძღვანელობისთვის, რომელთაც ნაწარმოების პერსონაჟებში საკუთარი თავი ამოიცნეს. რომანი-პამფლეტში ასახული მოვლენები და პიროვნებები არ იყო გამოგონილი, არამედ ცხოვრებიდან იყო აღებული. ე. ლაჩინოვა ნაწარმოებში ყოველთვის არ ცვლიდა მოქმედი პირობის სახელებს. რომანში ის გმობს ასეთ უაზრო ომს. წიგნი 1846 წელს გამოქვეყნდა ლაიპციგში, გერმანულ ენაზე სათაურით – „მოსკოველები და ჩერქეზები“. ევროპელი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციები ამ უსამართლო და დაპყრობითი ომის შესახებ. რუსულ ენაზე წიგნი მეორედ გამოიცა საბჭოთა ეპოქაში 1988 წელს და დღესდღეობით ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ეკატერინა ლაჩინოვა, ე. ხამარ-დაბანოვი, საქართველო, კავკასიური ომი, XIX საუკუნე.

Dali Kandelaki

Habilit. Dr. of History

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor; Head of the Department of Russian History

<https://orcid.org/0000-0001-7764-5059>

dali.kandelaki@tsu.ge

Ekaterina Lachinova's Forbidden Book: Stories of the Caucasian War of the 19th Century

The novel pamphlet “Escapades in the Caucasus” was published in Russia at the beginning of 1844. The author, Ekaterina Lachinova, was the wife of Nikolai Lachinov, the general of the Caucasus Separate Corps. The author chose the pseudonym E. Khamar-Dabanov (inspired by the Khamar-Daban mountains in Siberia). The work revealed the behind-the-scenes stories of the Caucasian War in the late 30s and early 40s of the 19th century to the general public. Immediately after publication, almost the entire edition of the book was destroyed. Emperor Nicholai I remarked about the book: “We know nothing about the Caucasus, and this lady opens our eyes”. The military minister, A. Chernishev, despite his objective evaluation, expressed his anger: “This book is all the more harmful because every line in it is true!” What provoked such government outrage? The novel exposed the incompetence of the imperial administration, the arbitrariness and corruption of officials, and the mediocrity of generals and officers. The Author revealed the unvarnished truth about the Caucasian War, details of which were meticulously hidden by Russian high officials. The book portrayed the unembellished reality, raising unanswered questions within Russian society: What was the Russian army truly fighting for? What motivated them in their conflict with the Caucasians? Why did the war drag on endlessly if the Russians claimed repeated victories and even subjugated some Caucasian peoples? How were the ranks of the mountaineers replenished despite heavy casualties in every skirmish? The book illuminated these mysteries, highlighting the lack of unity in government actions in the Caucasus. Each chief pursued his own policy and conducted his own war. The military leadership found this truth undesirable as they recognized themselves in the characters of the work. The events and personalities depicted in the Novel-Pamphlet were based on real-life examples. Lachinova did not always change the names of the individuals involved. She condemned the senselessness of the war in her novel. The book was published in Leipzig in 1846, in German under the title – “Muscovites and Circassians”. Making information about this unjust and aggressive war accessible to European readers. In Russian, the book saw its second publication during the Soviet era in 1986 and is now considered a bibliographic rarity.

Keywords: *Ekaterina Lachinova, E. Khamar-Dabanov, Georgia, Caucasian War, XIX century.*